



## 2021 წლის ანგარიში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის, სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების მიერ გაცემული საჯარო ინფორმაციის თაობაზე

### საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალურ აპარატში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე შემოვიდა 132 (ას ოცდათორმეტი) განცხადება. სამინისტროს მიერ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად 112 (ას თორმეტი) განცხადებაზე გაცემულ იქნა საჯარო ინფორმაცია, 14 (თოთხმეტი) განცხადება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-80 მუხლის საფუძველზე კუთვნილებისამებრ გადაეგზავნა უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს, 4 (ოთხი) განცხადებაზე ინფორმაცია არ გაცემულა, ხოლო 2 (ორი) განცხადების თაობაზე მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალურ აპარატში საჯარო ინფორმაციაში შესწორების შესახებ მოთხოვნა არ შემოსულა. საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით ფიქსირდება 1 (ერთი) ადმინისტრაციული საჩივარი. ადმინისტრაციული საჩივარი არ განხილულა, რადგან განცხადებით მოთხოვნილი ინფორმაცია გაიცა. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალურ აპარატში, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების დარღვევას ადგილი არ ჰქონია, შესაბამისად პასუხისმგებელი პირებისთვის დისციპლინური სახდელი არ დადებულა. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალურ აპარატს მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის დამუშავების, გაცემის და გაცემაზე უარის თქმის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრებასთან დაკავშირებით ხარჯები არ გაუწევია. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას ეყრდნობოდა შემდეგ საკანონმდებლო აქტებს: საქართველოს კონსტიტუციას, საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსს, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონს და საქართველოს საგადასახადო კოდექსს.

### საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე შემოვიდა 10 (ათი) განცხადება. სახაზინო სამსახურის მიერ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად 5 (ხუთი) განცხადებაზე გაცემულ იქნა მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია, ხოლო შესრულების პროცესშია 5 (ხუთი) განცხადება. სახაზინო სამსახურში საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ ადმინისტრაციული საჩივარი არ შემოსულა. საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის შესახებ მოთხოვნა არ დაფიქსირებულა.





### **საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო სამსახური**

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო სამსახურში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე შემოვიდა 12 (თორმეტი) განცხადება. საგამომიებო სამსახურის მიერ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად 11 (თერთმეტი) მათგანზე გაცემულ იქნა მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია, ხოლო 1 (ერთი) განცხადებაზე ინფორმაციის მომთხოვნს უარი ეთქვა მის დაკმაყოფილებაზე, ვინაიდან საგამომიებო სამსახურის მიერ განცხადებით წარმოდგენილი ინფორმაციის დამუშავება არ ხორციელდება. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ უწყების გადაწყვეტილება, მომთხოვნი მხარის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით არ გასაჩივრებულა.

### **ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური**

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე შემოვიდა 4 (ოთხი) განცხადება. სამსახურის მიერ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად 4 (ოთხი) მათგანზე გაცემულ იქნა საჯარო ინფორმაცია. აღნიშნული 4 (ოთხი) განცხადებიდან თავდაპირველად 1 (ერთი) განცხადების მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, რაც განმცხადებელმა გასაჩივრა. აღნიშნული საჩივარი დაკმაყოფილდა და გაიცა მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია.

### **საჯარო სამართლის იურიდიულ პირი - ფინანსთა სამინისტროს აკადემია**

სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემიაში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე შემოვიდა 18 (თვრამეტი) განცხადება. აკადემიის მიერ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ყველა მათგანზე განხორციელდა რეაგირება და გაცემულ იქნა საჯარო ინფორმაცია.

### **საჯარო სამართლის იურიდიულ პირი - საფინანსო - ანალიტიკურ სამსახური**

სსიპ - საფინანსო ანალიტიკურ სამსახურში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე შემოვიდა 7 (შვიდი) განცხადება. საფინანსო - ანალიტიკური სამსახურის მიერ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად 6 (ექვსი) მათგანზე გაიცა მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია, ხოლო 1 (ერთი) განცხადების თაობაზე მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება. შესაბამისად, არცერთი გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ სამსახურს არ მიუღია. საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის შესახებ მოთხოვნა სამსახურში არ შემოსულა. სამსახურში საქართველოს ზოგად ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების დარღვევის გამო, პასუხისმგებელი პირებისთვის დისციპლინური სახდელი არ დადებულა.





სამსახურს მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან დაკავშირებით ხარჯები არ გაუწევია. ამასთან, ვინაიდან საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ სამსახურს გადაწყვეტილება არ მიუღია და შესაბამისად არ გასაჩივრებულა, სამსახურს გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული, მათ შორის, მხარის სასარგებლოდ, თანხები არ გადაუხდია.

### **საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შემოსავლების სამსახური**

სსიპ - შემოსავლების სამსახურში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე შემოვიდა 1554 (ათას ხუთას ორმოცდაათოთხმეტი) განცხადება. შემოსავლების სამსახურის მიერ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, 997 (ცხრას ოთხმოცდაჩვიდმეტი) განცხადებაზე გაცემულ იქნა საჯარო ინფორმაცია, ხოლო ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 236 (ორას ოცდათექვსმეტი) განცხადება. შემოსავლების სამსახურში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 314 (სამას თოთხმეტი) განცხადებასთან დაკავშირებით, ხოლო 7 (შვიდი) განცხადების თაობაზე მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება.

**საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილებები მიღებულ იქნა შემდეგი საჯარო მოხელეების მიერ:**

- ✓ ბექა ჩხაიძე - საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი (საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატი);
- ✓ ცოტნე ყავლაშვილი - სახაზინო სამსახურის უფროსი;
- ✓ ანა ლურსმანაშვილი - საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი (საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური).
- ✓ ნათია გლოველი - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური).
- ✓ ლევან წითელაშვილი - სსიპ - შემოსავლების სამსახურის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი;





- ✓ ლანა პირტახია - საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი (სსიპ- ფინანსთა სამინისტროს აკადემია).
- ✓ ლევან ბაიდოშვილი - საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი (სსიპ - საფინანსო-ანალიტიკური სამსახური).

